**განმარტებითი ბარათი**

**თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 29 დეკემბრის № 03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას, რომლის ძირითადი მოტივი მდგომარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების განსახორციელებლად თანხების მობილიზებაში.

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ცვლილებების გათვალისწინებით განისაზღვროს 73133,13 ათასი ლარის ოდენობით.

მოხდეს ცვლილება ბიუჯეტის შემოსულობებში:

გაიზარდოს სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელიდან მისაღები შემოსავლების გეგმა 259,0 ათასი ლარით;

მოხდეს ცვლილება ბიუჯეტის გადასახდელებში:

გაიზარდოს გზების კაპიტალური შეკეთების (კოდი 02 01 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 150,0 ათასი ლარით, ქ. თელავში მუსხელიშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების და საზედამხედველო მომსახურებისათვის;

გაიზარდოს სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის (კოდი 05 01 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 109,0 ათასი ლარით, და პროგრამის ფარგლებში არსებული დაფინანსების გათვალისწინებით, განხორციელდეს ქ. თელავში, სოხუმის ქუჩის მიმდებარედ ახალი ხელოვნურსაფარიანი მინი-მოედნის მოწყობის სამუშაოები და საზედამხედველო მომსახურება;